

ლევონ ზელელაშვილი\*

# სამართლის უზენაესობა „ქამელობის სასამართლოს“ იურისპრუდენციაში — სექტოვალოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანტიკლ სივრცი სევალდებულო განლერული კვოტის შესახებ\*\*

## შესველი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურმა 2020 წლის 25 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილებასაქმებე „ა(ა)იპმოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“<sup>1</sup> მოსარჩელები ითხოვდნენ საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ იმ ნორმის (203-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება) კონსტიტუციისთან შეუსაბამოდ ცნობას, რომლის მიხედვითაც, „პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს ეკისრებათ ვალდებულება, წარადგინონ იმგვარად შედგენილი პარტიული სია, რომ სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

გასაჩივრებული ნორმა, მიუხედავად იმისა, რომ ცხადად ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზანს ისახავდა, კანონმდებლის მიერ მაინც ნეიტრალური ენით იყო ჩამოყალიბებული. შედეგად, მეტი ზოგადობა პარტიულ სიაში ქალთა კვოტის დადგენის მიზნით შექმნილ ნორმას

\* პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტის *Geotomon Wise* თანამშრომელი

\*\* წინამდებარე სტატია, თავდაპირველად გამოქვეწნდა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ. უურნალში ქვეყნდება სტატიის ახალი ვერსია, ცვლილებებითა და დამატებებით, გადამუშავებული სახით.

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება N3/1526.

აძლევდა ისეთ შინაარსსაც, რომელიც შეცვლილ ფაქტობრივ გარემოებებში, მაგალითად, ქალთა უმრავლესობით შედგენილი პარტიული სიის პირობებში, მამაკაცთა კვოტირებასაც მოითხოვდა. საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებელს არ დაუფასა ფორმალური თანასწორობის კონსტიტუციური იდეალისადმი ამ გზით, თუნდაც, მოჩვენებითი პატივისცემის გამოხატვა.

მოსარჩელეს არ ჰქონდა უკეთესი არჩევანი, გარდა იმისა, რომ სწორედ ფორმალური თანასწორობის პრინციპის ზოგადი ლოგიკის დაცვითვე, ედავა სავალდებულო გენდერული კვოტირების ორივე შესაძლო შემთხვევის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაზე. შესაბამისად, არცთუ მცირე ირონიის შემცველი იყო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მხოლოდ საარჩევნო პარტიულ სიებში მამაკაცთა შესაძლო კვოტირების მოთხოვნა გამოცხადდა კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, ხოლო ქალთა კვოტირების მოთხოვნა კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ კონსტიტუციურად აუცილებელ პოზიტიურ ზომად იქნა მიჩნეული.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, ყველაზე მეტად ფორმალური თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი დაზარალდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის ორი დეკადის განმავლობაში ჩამოყალიბებული არცთუ მდიდარი იურისპრუდენცია, უმეტესწილად, სწორედ ამ იდეალის არეალში (თვალსაწიერში) ვითარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ შექმნილ სტანდარტებსა და შემოწმების კონსტიტუციურ ტესტებს აკლიათ დოქტრინული ერთიანობა, თანმიმდევრულობა და სისრულე, შინაარსობრივად მათ საფუძველში ფორმალური თანასწორობის იდეალის ამოკითხვა მაინც შესაძლებელია.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც სასამართლოს ამგვარ იურისპრუდენციულ მიმართულებას განსაზღვრავდა, 1995 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ტექსტი გახლდათ.<sup>2</sup> ამ კონსტიტუციური ნორმის ფორმალური თანასწორობის კლასიკური იდეალის შესაბამისი ენა სასამართლოს შესაძლებლობას აძლევდა, მკაფიოდ გამიჯვნოდა არსებითი თანასწორობის კონცეფციებს, აღნიშნა (თუმცადა ახსნა-დასაბუთების გარეშე) მათი ფუნდამენტური შეუთავსებლობა თანასწორობის (ფორმალურ) კონსტიტუციურ პრინციპთან.<sup>3</sup>

2 1995 წლის კონსტიტუციის 2018 წლამდე მოქმედი რედაქციის მე-14 მუხლი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, განის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

3 „მე-14 მუხლის არსის გაგებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში სხელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გააანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეალისან, უფლების არსთან მოვალეობა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეალისან უმსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას. თანაბარი შანსები იქნება თუ არა თანაბრად გამოყენებული, დამოკიდებულია კონკრეტულ პირების უნარებზე უნარების სახელმწიფოს ძალისხმევით გათანაბრების მცდელობა კი, უმეტესწილად, თავად იწვევს დისკრიმინაციას.“ – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1493, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვეობები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-1.

2018 წელს ამოქმედებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტმა<sup>4</sup> სასამართლოს მიერ შესასრულებელი იურისპრუდენციული სამუშაო მნიშვნელოვნად გაართულა. ამ ცვლილებამ კონსტიტუციაში შემოიტანა რა არსებითი თანასწორობის ენა, სასამართლოს გამოაცალა კონსტიტუციის ტექსტით მონიჭებული კომფორტი, თავიდან აერიდებინა ჰერაკლეს მისიასთან შეჭიდება და ეცადა ერთმანეთთან მკაფიო კონფლიქტში მყოფი ფორმალური და არსებითი თანასწორობის პრინციპების შეთანხმება კონსტიტუციური დოქტრინის ერთიან ჩარჩოში.

განსახილველ გადაწყვეტილებაში სასამართლო მოუმზადებელი შეხვდა ამ მძიმე დოქტრინულ ტვირთს და მის დაძლევაში მარცხი განიცადა. თანმიმდევრული სტანდარტის განვითარებისა და დოქტრინული წინააღმდეგობების გადალახვის ნაცვლად, განსახილველი გადაწყვეტილება კიდევ უფრო არათანმიმდევრულსა და წინააღმდეგობრივს ხდის თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის შინაარსსა და შემოწმების სტანდარტებს. ღრმა ღირებულებითი უთანხმოებები, რომლებიც ერთმანეთთან შეუთავსებლობამადე დაპირისპირებული კონსტიტუციური პრინციპების კონფლიქტიდანაა ნაწარმოები, სასამართლოს მიერ ან ტრივიალურად წარმოჩნდება და ასე მიიჩემალება, ან იმგვარი მზა ფორმულარული მსჯელობით ცხადდება გადაჭრილად, რომელიც უფრო იდეოლოგიურ უანრს ეკუთვნის, ვიდრე – სერიოზულ დოქტრინულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ დისკურსს.

შედეგად, მნიშვნელოვნად იყლებს კონსტიტუციური წესებისა და დოქტრინის მიერ სამართლებრივი დარწმუნებულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხი. ამით კიდევ უფრო ერყვევა საფუძველი სამართლის უზენაესობას, კონსტიტუციური წესრიგის ფუნდამენტს, რომლის თანასწორობის ფორმალურ პრინციპთან არსებითი კავშირის სათანადო თანმიმდევრულობითა და სისრულით კონსტიტუციურ იურისპრუდენციაში აუსახველობაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მორიგ სისტემურ ჩავარდნად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამასთან, სასამართლოს მიერ გადაუჭრელი რჩება როგორც თანასწორობის ფორმალურ და არსებით პრინციპებს შორის დოქტრინული კავშირის ჩამოყალიბება საქართველოს კონსტიტუციის ჩარჩოში, ასევე არსებითი თანასწორობის მისაღწევად მისაღები პოზიტური ზომების კონსტიტუციური შინაარსისა და მათი შემოღებისას კანონმდებლის მიხედულების ზღვრების მკაფიო და ცხადი წესებით ან/და სტანდარტებით განსაზღვრება. ეს მდგომარეობა მხოლოდ თანასწორობის მიმართულებით არ დგას და ზოგადად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის, პრობლემაა. ეს პრობლემა ნათლად წარმოაჩენს მის მყიფე ინსტიტუციურ მდგომარეობას არაკონსოლიდირებული, არალიბერალური დემოკრატიის პირობებში.

ამგვარრეუსიმებში, მსგავსად ავტორიტარული და ჰიბრიდული რეჟიმებისა, ინსტიტუციურად სუსტი/პოლიტიკური თავდასხმებისგან დასუსტებული<sup>5</sup> საკონსტიტუციო სასამართლოები

<sup>4</sup> ამ პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფეხრელად.“

<sup>5</sup> Wojciech Sadurski, *Polish Constitutional Tribunal Under PiS: From an Activist Court, to a Paralysed Tribunal, to a Governmental Enabler*,

პოლიტიკური ან/და საზოგადოებრივი ძალაუფლების ცენტრებისგან ძლიერ ზეწოლას განიცდიან.<sup>6</sup> ადრე თუ გვიან, ისინი ექცევიან სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური ძალაუფლების აქტორის გავლენის ქვეშ. ირონიულია, თუმცა საკონსტიტუციოსასამართლოების მოსამართლეთა ელიტებს, როგორც ავტორიტარულ და პიბრიდულ, ისე არალიბერალურ დემოკრატიულ რეჟიმებში, აქვთ „პრაგმატული“ საფუძვლებიც ძალაუფლების მქონეთა მიერ თავიანთი რეკრუტირების გასამართლებლად<sup>7</sup> - ისინი ხომ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუტის „იცავენ“. „პრაგმატული კომპრომისებით“ ძალაუფლების მქონეთა სასარგებლოდ, ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალებას უტოვებენ, შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ფუნქცია იმ საქმეებში, სადაც ძალაუფლების აქტორთა ინტერესების მიერ „წითელი ხაზები“ არ აქვთ მოხაზული.

ძალაუფლების მიერ მოხაზულ „წითელ ხაზებს“ მიღმა მიღებული პროგრესული ან/და კონსტიტუციურად სწორი გადაწყვეტილებებით, ასეთი საკონსტიტუციო სასამართლოები, ერთი მხრივ, საკუთარი საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის ნარჩენებს ეპოტინებიან, მეორე მხრივ კი ამ ლეგიტიმაციის ნაშთების შენარჩუნებით იმ პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმაციასაც აძლიერებენ, რომელსაც უმეტესწილად ემსახურებიან. ასეთი საოპერაციო სისტემა საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ქამელეონობის ხელოვნების ათვისებას მოითხოვს.<sup>8</sup> „წითელი ხაზები“ მუდმივად იცვლება თვით კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმებშიც კი.<sup>9</sup> რაც შეეხება არაკონსოლიდრებულ, ე.წ. „არალიბერალურ დემოკრატიებს“, აქ თავად ძალაუფლების ცენტრები იცვლებიან და შესაბამისად. არაპროგნოზირებადად ცვალებადია „წითელი ხაზებიც“, რომლებსაც წარმავალი ძალაუფლებები ხაზავენ. საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ უფრო ამ უკანასკნელ კატეგორიას განეკუთვნება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ქამელეონობის სწავლა შეუთავსებელია ისეთი კონსტიტუციური დირებულებების განუხრელ დაცვასთან, როგორიცაა სიცხადე, თანმიმდევრულობა, განსაზღვრულობა, განჭვრეტადობა. სამართლის უზენაესობა ქამელეონობის პირველი მსხვერპლია, თუმცა მისი მსხვერპლთშეწირვა საჯაროდ და სრულად მაინც ვერ ხერხდება. აუცილებელია ამ დირებულებებისადმი მინიმალური ერთგულების დემონსტრირება მაინც. შესაბამისად, მათი უგულებელყოფა ძირითადად შეფარვით, ბოროტად გამოყენებითა და სტრატეგიული გათვლების მეშვეობით ხდება.

ამ ფონზე თუ დავინახავთ, ის, რისთვისაც საკონსტიტუციო სასამართლოს ვაკრიტიკებთ განსახილველ გადაწყვეტილებასთან მიმართებით, მისი *modus operandi* და ინსტიტუციური

11 Hague Journal on the Rule of Law (2018).

6 Tom Ginsburg & Tamir Moustafa, Introduction: The Functions of Courts in Authoritarian Politics, in Rule by Law: The Politics of Courts in Authoritarian Regimes 1–22 (Tom Ginsburg & Tamir Moustafa eds., 2008).

7 Alexei Trochev & Peter H. Solomon, *Authoritarian constitutionalism in Putin's Russia: A pragmatic constitutional court in a dual state*, 51 Communist and Post-Communist Studies 201–214 (2018).

8 პრაგმატისტი „მოსამართლე-ქამელეონის“ მეტაფორას ვსესხულობ ადრიან ვერმეულესგან, რომელიც მას ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმს ფარგლებში ავთარებს. თუმცა, ალსანიშნვია, რომ ვერმეულეს ხშირად აკრიტიკებს ავტორიტარული კონსტიტუციური იდეებისადმი სიმპათიის გამო. მისი შრომებიც ხშირად ლიად ეყრდნობა ავტორიტარიზმის სამართლისა და პოლიტიკის თეორეტიკოსებს. Adrian Vermeule, *System Effects and the Constitution*, 123 Harvard Law School John M. Olin Center for Law, Economics and Business Discussion Paper Series (2009).

9 Tamir Moustafa, *Law and Courts in Authoritarian Regimes*, 10 Annual Review of Law and Social Science 281–299 (2014).

თვითგადარჩენის მექანიზმია. კონსტიტუციური ქამელეონობა აზიანებს სამართლის უზენაესობას და საშუალებას აძლევს სასამართლოს შერჩევითად აღასრულოს ის. ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივისტანდარტები, სუსტიდაარათანმიმდევრული კონსტიტუციური დოქტრინა, ქამელეონი სასამართლოს მთავარი დასაყრდენია. ის საშუალებას აძლევს სასამართლოს, ადაპტირდეს მუდმივად ცვალებადი ძალაუფლების ცენტრების მიერ განსაზღვრულ ცვალებად და წინააღმდეგობრივ „წითელ ხაზებთან“ და დავალებებთან.

იმისათვის, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების ანალიზი გამოვიყენოთ ავტორიტარულ და არალიბერალურ რეჟიმებში საკონსტიტუციო სასამართლოების ფუნქციების შესახებ არსებული მზარდი ლიტერატურის ჩარჩოში განსახილველად, პირველ რიგში, გვჭირდება აღნიშნული ლიტერატურის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა და საბაზისო თეორიული საყრდენების გამოკვეთა.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება დოქტრინული არათანმიმდევრულობისა და წინააღმდეგობრიობის, ისევე, როგორც შედარებითი საკონსტიტუციო სამართლებრივი „სესხების“ (როგორც ნორმებისა და ინსტიტუტების, ისე ნორმატიული გამართლების არგუმენტების) ბოროტად გამოყენების პრაქტიკის ცენტრალურ როლზე ყურადღების გამახვილება ავტორიტარული და არალიბერალური რეჟიმების საკონსტიტუციო სასამართლოების მუშაობაში.

აღნიშნული ჩარჩოს ჩამოყალიბების შემდეგ, მომდევნო ნაწილებში, დაწვრილებით ვიმსჯელებთ გენდერული კვოტების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დოქტრინულ არათანმიმდევრულობასა და ზედაპირულობაზე სასამართლოს დასაბუთების ძირითადი დოქტრინული ელემენტების კრიტიკული, ნორმატიულ-თეორიული და შედარებითი ანალიზის მეშვეობით, ხოლო დასკვნებს შევაჯამებთ საქართველოში სამართლის უზენაესობისა და საკონსტიტუციო მართლშორისულების ამჟამინდელ მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შუქზე.

კრიტიკული კითხვა, რომელიც ასეთი ტიპის აკადემიური სამუშაოს მიმართ დაისმის, არის შემდეგი: რამდენად გამართლებულია ავტორიტარული/არალიბერალური რეჟიმების მორჩილი საკონსტიტუციო სასამართლოების იურისპრუდენციის ანალიზი, მათი დაქვემდებარებული მდგომარეობის ემპირიული მტკიცებულების წარმოების მიღმა? სტატიის შეჯამებაში შევეცდებით პასუხი გავცეთ აღნიშნულ კითხვასაც. მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიული თვალსაზრისით ასეთი ანალიზის ღირებულება მართლაც მცირეა, განსაკუთრებით დოქტრინის კონსტრუქციის მიმართულებით, დაქვემდებარებული სასამართლოს იურისპრუდენციას კრიტიკული პერსპექტივის განვითარებისთვის მაინც გააჩნია ღირებულება ნორმატიულ თეორიაში. რაც შეეხება ამგვარი სამუშაოს ემპირიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, მას არც კრიტიკოსები აყენებენ ეჭვევეშ.

## სკონსტიტუციონ სასამართლოები ევტორიტერულ და ერელიგირელურ კოლიტიკურ რეაქციებში

შედარებითი საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების ლიტერატურაში საკონსტიტუციო სასამართლოების წამყვან როლზე ძირითადად კონსტიტუციური დემოკრატიის გლობალური გავრცელებისა და ადამიანის უფლებების რევოლუციის კონტექსტში საუბრობდნენ.<sup>10</sup> გასული საუკუნის ბოლოს, დემოკრატიზაციის მესამე, აღმავალი ტალღის, კვალდაკვალ ავტორიტარულმა რეჟიმებმა თითქოს დაკარგეს რელევანტურობა, განსაკუთრებით – 1990-იანი წლების ოპტიმიზმის ფონზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა ტოტალიტარიზმის დასასრული ლიბერალური დემოკრატიის, როგორც მმართველობის ფორმის, საბოლოო ტრიუმფის მოიტანდა.<sup>11</sup>

21-ე საუკუნის პირველ დეკადაში უკვე ცხადი გახდა, რომ ავტოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა, მედევი აღმოჩნდა ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის ტალღების მიმართ და არათუ გაქრობას არ აპირებდა, გამოცოცხლებისა და გაფართოების ნიშნებსაც ამჟღავნებდა მსოფლიოს გარშემო.<sup>12</sup> ავტორიტარული რეჟიმებისა და პიბრიდული პოლიტიკური რეჟიმების შესახებ პოლიტიკური მეცნიერების ინტერესის ზრდასთან ერთად გაიზარდა ინტერესიც ასეთი რეჟიმების ინსტიტუციური თავისებურებების შესახებაც.

პოლიტიკურ მეცნიერებაში უკვე არსებობდა სასამართლოების შესწავლის თეორიული მოდელები. აღნიშნული თეორიები, სამართლის ნორმატიული პერსპექტივისგან განსხვავებით, ირჩევდნენ ე.წ. პოზიტიურ პერსპექტივას. მათი შესწავლის ობიექტი გახლდათ არა სასამართლოების ნორმატიული ლეგიტიმაცია და მიზნები, არამედ- მათი პოლიტიკურ და მმართველობის სისტემაში მუშაობის რეალობა, ის რეალური მიზნები და ფუნქციები, რომლებსაც სასამართლოები ასრულებენ და რომლებიც პოლიტიკის მეცნიერთა კონსენსუსით უდავოდ პოლიტიკური ბუნებისა არიან.<sup>13</sup>

ტომ გინზბურგის „დაზღვევის თეორია“ ერთ-ერთი ასეთი „პოზიტიური პოლიტიკური თეორიის“ ნიმუშია, რომელიც ცდილობს პოლიტიკურ სისტემაში აქტორების მოტივაციური სტრუქტურის გააზრებით ახსნას მათი გადაწყვეტილება, შემოიღონ საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი და შექმნან საკონსტიტუციო სასამართლოები.<sup>14</sup> „დაზღვევის თეორიის“ მიხედვით, პოლიტიკურ მოთამაშებს მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნასა და უფლებამოსილების მინიჭებაზე თანხმდებიან, უმეტესად არ ამოძრავებთ ლიბერალური დემოკრატიის ნორმატიული მიზნები და იდეალები.

10 Kim Lane Scheppelle, *Democracy by Judiciary.*, in Rethinking the Rule Of Law After Communism 25–60 (Adam Czarnota, Martin Krygier, & Wojciech Sadurski eds., 1 ed. 2005).

11 FRANCIS FUKUYAMA, THE END OF HISTORY AND THE LAST MAN (1992).

12 Anna Lührmann & Staffan I. Lindberg, A third wave of autocratization is here: what is new about it?, 26 Democratization 1095–1113 (2019).

13 Martin Shapiro, Courts. A Comparative and Political Analysis, (1981).

14 Tom Ginsburg, Judicial Review in New Democracies: Constitutional Courts in Asian Cases (2003).

გინზბურგის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოებისთვის ძალაუფლების მინიჭებით, პოლიტიკური აქტორები თავს იზღვევენ, რომ ძალაუფლების დაკარგვის შემთხვევაში, იარსებებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი, რომელიც მოწინააღმდეგის თვითნებობისგან დაიცავს. დამოუკიდებელი არბიტრის მიერ შემოთავაზებული დაზღვევა ასევე ხელსაყრელია მაშინ, როდესაც კონსტიტუციის შემქნელი ძალები ვერ თანხმდებიან და განზრას ბუნდოვნად ტოვებენ მთელ რიგს საკვანძო კონსტიტუციურ დებულებებს. ასეთ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია უთანხმოების მართვა დროში გაშალოს და სტაბილური კონსტიტუციური რეჟიმის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი კრეატიული საკონსტიტუციო ინტერპრეტაციის მეშვეობით.

შესაბამისად, „დაზღვევის თეორიის“ მიხედვით, ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოების შექმნისა და მათვის ძალაუფლების მინიჭების მოტივაცია უმეტესად მაშინ არსებობს, როდესაც პროცესში არც ერთ პოლიტიკურ აქტორს დომინანტური პოზიცია არ უკავია და არც იმის მოლოდინი აქვს, რომ ასეთ პოზიციას უახლოეს მომავალში დაიკავებს. ამრიგად, აღნიშნული ლოგიკით, იქ, სადაც დემოკრატიზაციის პროცესი ბრკოლდება დომინანტი პოლიტიკური ძალისა თუ ლიდერის გამოჩენით, საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნისა და მისთვის ძალაუფლების მინიჭების ყველაზე ნაკლები მოტივაცია არსებებს.

ამის მიუხედავად, ავტორიტარულ და ჰიბრიდულ რეჟიმებში საკონსტიტუციო სასამართლოების გავრცელებამ და იქ მათმა მრავალწლიანმა არსებობისა და მუშაობის პრაქტიკამ აუცილებელი გახსადა დამატებითი კვლევა და ახალი საკვლევი კითხვების ჩამოყალიბება. იმის გასაგებად, თუ რატომ შეიძლება მიეღოთ ავტორიტარულ რეჟიმებს საკონსტიტუციო სასამართლოების შექმნის/მათვის უფლებამოსილების შენარჩუნების გადაწყვეტილება, პოლიტიკური მეცნიერები და შედარებითი საკონსტიტუციო სამართლის მკვლევარები დაინტერესდნენ იმ ფუნქციების შესწავლით, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლოები და სასამართლო ინსტიტუტები ასეთ რეჟიმებში ასრულებენ.<sup>15</sup>

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ ავტორიტარულ რეჟიმებში სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლოების ჩათვლით, მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ. ამათგან ზოგი ემსგავსება იმ ფუნქციებს, რომლებიც სასამართლოებს კონსტიტუციურ-დემოკრატიულ რეჟიმებში აქვთ, თუმცა, სტრუქტურული მსგავსების მიუხედავად, თვისობრივი განსხვავებები რჩება. ავტორიტარულ რეჟიმებში უგულებელყოფილია კონსტიტუციური დემოკრატიის ნორმატიული მიზნებიდასასამართლოებირეჟიმის პოლიტიკურ მიზნებსაა დაქვემდებარებული.

ეს მაშინაც ასეა, როდესაც ავტორიტარული რეჟიმები ქმნიან მოჩვენებითობას იმისა, რომ სასამართლოები კონსტიტუციური დემოკრატიის ნორმატიულ მიზნებს ემსახურებიან, უფრო დაზუსტებით კი, კონსტიტუციური დემოკრატიის ღირებულებებისა და ინსტიტუტების ბოროტად გამოყენებით, საკუთარ პოლიტიკურ და სხვაგვარ მიზნებს აღწევენ.

15 Ginsburg and Moustafa, Supra, სქოლით 6.

ფუნქციები, რომლებსაც ავტორიტარულ რეჟიმებში სასამართლოები ასრულებენ, ერთი მხრივ, უკავშირდება რეჟიმის ლეგიტიმაციას, სტაბილურობასა და გადარჩენას, ხოლო, მეორე მხრივ კი – რეჟიმის მიერ მმართველობის ეფექტური განხორციელების საოპერაციო საჭიროებებს. გინსბურგისა და მუსტაფას მიხედვით, ეს ფუნქციებია: 1) სოციალური კონტროლის დამყარება და განხორციელება, განსაკუთრებით პოლიტიკური ოპონენტების ჩამოცილება სამართლებრივი გზებით; 2) რეჟიმის სამართლებრივ ლეგიტიმურობაზე პრეტენზის განმტკიცება; 3) სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატისა და ბიუროკრატის კონტროლი და მათი მიერ დავალებების შესრულების შემოწმება, ისევე, როგორც რეჟიმის სხვადასხვა ფრაქციას შორის კონფლიქტებისა და კოორდინაციის პრობლემების გადაწყვეტა; 4) საერთაშორისო ინვესტიციებისა და ვაჭრობის ხელშეწყობა კერძო სამართალში სამართლის უზენაესობის შეზღუდული მოცულობით აღსრულებით; 5) კონტროვერსიული საჯარო პოლიტიკების განხორციელება ისე, რომ მასზე პირდაპირი პასუხისმგებლობა რეჟიმის ძირითადი ელემენტებისგან იყოს არიდებული.<sup>16</sup>

მსგავს ფუნქციებს სასამართლოები კონსტიტუციურ დემოკრატიებშიც ასრულებენ, თუმცა ავტორიტარულ რეჟიმებში მათი მუშაობა რეჟიმის მიზნებისთვისაა დაქვემდებარებული. მაშინაც კი, როდესაც ავტორიტარული რეჟიმები საშუალებას აძლევენ საკონსტიტუციო სასამართლოებს რეჟიმის მიერ მიღებული ცალკეული კანონები გააქტინონ კონსტიტუციურ უფლებებთან შეუსაბამობის საფუძვლით, ამით რეჟიმის სამართლებრივ ლეგიტიმაციას აძლიერებენ. ამას სასამართლო ირიბად, პირველ რიგში, საკუთარი ლეგიტიმაციისა და საზოგადოებრივი ნდობის გააძლიერებით აღწევს. ეს ეხმარება სასამართლოს ინსტიტუციურ გადარჩენაში, თუმცა, მეორე მხრივ, ამყარებს მთლიანად რეჟიმის სამართლებრივ ლეგიტიმაციასაც.

ამრიგად, სამართლებრივი ლეგიტიმაციის რესურსს, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო ავტორიტარული რეჟიმის მიერ მიცემული თავისუფლების ფარგლებში აგროვებს, იმავე რეჟიმის მიზნების მისაღწევად ფლანგავს. თუმცა, როგორც გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს, საკონსტიტუციო სასამართლოებს ავტორიტარული რეჟიმების პირისპირ და ხარისხობრივად ერთი მეორეზე უარესი არჩევანი აქვთ.

როგორც მარტინ შაპირო აღნიშნავს, საკონსტიტუციო სასამართლოებს ავტორიტარული რეჟიმი ერთგვარ Catch 22-ის პარადოქსის სიტუაციას უქმნის, როცა ყველა არჩევანი საბოლოოდ არაგონივრულია – სასამართლოებს აქვთ არჩევანი, ან დათანხმდნენ რეჟიმის მიერ მოხაზულ წითელ ხაზებს შიგნით მუშაობას და შესაბამისად, რეჟიმის ლეგიტიმირების ტვირთი ასწიონ, ან გარისკონ რეჟიმის მხრიდან გარდაუვალი განადგურების პერსპექტივა.<sup>17</sup>

სასამართლოების შემთხვევაში ინსტიტუციური განადგურება რეჟიმის მიერ მაინცდამაინც მის სრულ გაუქმებას არ გულისხმობს. შაპიროს მიერ დასახელებულ დილემაში ავტორიტარულ რეჟიმს პირველი არჩევანის მიღწევა სურს, განადგურების გარდაუვალი პერსპექტივის რეალისტური მუქარით ის სასამართლოს (გა)ურჩ(ებულ) შემადგენლობას პირველი

16 Ibid.

17 Ibid.

არჩევანის რაციონალიზაციისა და „პრაგმატული“ გამართლების საფუძველს აწვდის. თუ ეს მოსამართლეები საკმარისად „პრაგმატულები“ არ აღმოჩებიან, მაშინ მუქარა მოქმედებაში მოდის (სრულდება).

სასამართლოს მოთვინიერების ტექნიკები, რომლებიც ავტორიტარ მმართველებს არსენალში აქვთ, მრავალგვარია და მოიცავს როგორც სასამართლოს „გადავსებას“ მორჩილი მოსამართლეებით, ისე – მათს შებოჭვასა და დისციპლინირებას, დაწყებული იურისდიქციის შეზღუდვებიდან, დამათავრებული დისციპლინური და სამართლებრივი დევნისა და წარმატების ინსტრუმენტების ერთობლიობის გამოყენებით. ავტორიტარული რეჟიმების მიერ განვითარებული ეს ტექნიკები მისაწვდომია და წარმატებით იყენებენ ასევე ის პოლიტიკური ძალები და ლიდერები, რომლებიც შემდგარი კონსტიტუციური დემოკრატიების ავტოკრატიისკენ უკუსვლის გზაზე დგებიან.<sup>18</sup>

ასეთ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს „წაღება“ ხშირად უპირველესი ნაბიჯია რეჟიმის ტრანსფორმაციისთვის კონსტიტუციური დემოკრატიიდან ჰიბრიდულ რეჟიმად, იმდენად, რამდენადაც კონსტიტუციური სისტემის ფუნდამენტური კოორდინატების ცვლილებას, სულ მცირე, საკონსტიტუციო სასამართლოს უმოქმედობა მაინც სჭირდება, თუ აქტიური ჩართულობა არა. იმის მიხედვით, თუ როგორია აღნიშნული მოდალობა, გამოყოფენ ავტორიტარული/ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში, რეჟიმის მიერ დაქვემდებარებული სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენების ორ ფორმას – ძლიერს და სუსტს.<sup>19</sup>

ბოროტად გამოყენების სუსტი ფორმის შემთხვევაში, რეჟიმის მიერ „შეპყრობილი“ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნევს ისეთ კანონმდებლობას ან საკონსტიტუციო შესწორებებს, რომლებიც კონსტიტუციური დემოკრატიის ძირითად არსს ეწინააღმდეგებიან და მთელი კონსტიტუციური სისტემის შინაარსობრივ დეგრადაციას იწვევენ. ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმების შემთხვევაში კი, სასამართლო თავად არის ინიციატორი ასეთი გადაწყვეტილებებისა, საკუთარი აქტებით „ავალდებულებს“ (კონსტიტუციურ) კანონმდებელებს, მიიღონ შესაბამისი ნორმები, რომლებიც კონსტიტუციური დემოკრატიის კონსტიტუციურ იდენტობას უკულმა ატრიალებს.

„შეპყრობილი“ სასამართლოების ამგვარი „პრაგმატიზმი“ ღირებულებით კონსტიტუციურ ფუნდამენტთან მიმართებით თანმიმდევრულობის დეფიციტს განიცდის. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი სასამართლოები ძალისხმევას აკლებენ (მეტ-ზაკლები წარმატებით) გაამართლონ საკუთარი გადაწყვეტილებები პრაგმატულ არჩევანს მიღმა. ქამელეონს არ სურს მთლად უფერული გამოჩენა, არამედ ცდილობს, რომ მრავალფეროვნებისადმი საკუთარი მოქნილობა წარმოაჩინოს. თუმცა, მრავალფეროვანი და ერთმანეთთან შეუთავსებელი უმეტესად რეჟიმების მიზნებია, რომელთა გამართლების დაუძლეველი ტვირთიც „პრაგმატული მოქნილობით“ ვერ აიწევა.

18 David Landau, Rosalind Dixon, Abusive judicial review: courts against democracy, 53 UC Davis L. Rev. 3 (2019)

19 Ibid.

ამ ტვირთის დასაძლევად საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენების პრაქტიკა სხვადასხვა ტექნიკას იცნობს. მათ შორისაა „სესხება“ სხვა კონსტიტუციური იურისდიქციიდან. „სესხების“ დროს კონკრეტული ნორმის, ინსტიტუტისა თუ დოქტრინულ-კონსტიტუციური არგუმენტის კონტექსტიდან ამოგლეჯა, მისი ნორმატიული მიზნის დამახინჯება და ინვერსია ხდება. „მსესხებელი“ სასამართლო ასეთ დროს თვალს ხუჭავს იმაზე, რომ წარმოშობის იურისდიქციაში ინსტიტუციური, ღირებულებითი ან სხვაგავარი კონტექსტი „ნასესხებ“ ნორმას, ინსტიტუტს ან დოქტრინულ კონსტიტუციურ არგუმენტს სრულიად სხვაგვარ ნორმატიულ მიზანს ანიჭებს, ვიდრე ის ადგილობრივ კონტექსტებში იძენს.<sup>20</sup>

„სესხების“ ბოროტად გამოყენება სასამართლოს მიერ საკუთარი დოქტრინული არათანმიმდევრულობის დასაფარად ხდება. თუმცა ეს ხშირ შემთხვევაში მაინც სათანადო წარმატებით ვერ ხერხდება. სასამართლოს გადაწყვეტილების დოქტრინული არათანმიმდევრულობის მაღალი ხარისხი, გადაწყვეტილების მიღების პროცედურულ დარღვევებთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენების აღმოჩენისა და დადასტურების მნიშვნელოვანი საფუძვლებია.<sup>21</sup>

ერთი მოსაზრებით, საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების შემთხვევების ანალიზის იურისპრუდენციული ღირებულება უმნიშვნელოა და მხოლოდ შესაბამისი სასამართლოს „შეპყრობილი“/„დაქვემდებარებული“ მდგომარეობის დასადასტურებლად შეიძლება გამოდგეს.<sup>22</sup> მიუხედავად იმისა, რომ აბსურდულობამდე არარაციონალური არათანმიმდევრულობებისა და კონსტიტუციური ფუნდამენტის შელახვის შემთხვევების ანალიტიკური გააზრება დოქტრინული იურისპრუდენციის განვითარების შესაძლებლობას მართლაც არ იძლევა, ნორმატიული თვალსაზრისით, ასეთი ანალიზი მაინც მნიშვნელოვანია.

ის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ კონსტიტუციური სისტემის შიგნით ცოცხალი დარჩეს ნორმატიული იდეალის ხატი, რომლის საფუძველზე წარმოებულმა საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების კრიტიკამაც უნდა შეინარჩუნოს მისი რესტავრაციის პერსპექტივა, პირველ რიგში, სამართლებრივ პროფესიაში და ასევე – ფართო საზოგადოებაში. სწორედ აღნიშნული სულისკვეთებით გავაგრძელებთ შემდეგ ნაწილებში წინამდებარე გადაწყვეტილების კრიტიკულ ანალიზს.

20 Rosalind Dixon & David Landau, 1989–2019: From democratic to abusive constitutional borrowing, 17 International Journal of Constitutional Law 489–496 (2019).

21 Dixon and Landau, Supra, სქოლით 18.

22 Jakab, András: Bringing a Hammer to the Chess Board: Why Doctrinal-Conceptual Legal Thinking is Futile in Dealing with Autocratizing Regimes, VerfBlog, 2020/6/25, <https://verfassungsblog.de/bringing-a-hammer-to-the-chess-board/>, DOI: 10.17176/20200626-003815-0.

## თუნესწორობის ფორმელურ და ერსებით პრინციპებს შორის შეუთანხემებელი ნიერადეგობა და კოზიტიური ზომების შემოწმების განესაზღვრელი კონსტიტუციური სტანდარტი

მოსარჩელის სტრატეგია ნორმის კონსტიტუციურობაზე ედავა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის (საარჩევნო უფლება) საფუძველზე, შესაძლებელია აიხსნას მცდელობით, მაქსიმალურად თავიდან აერიდებინა/შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პოზიტიური ზომების კონსტიტუციური მანდატის განმარტება-გამოყენება მიმდინარე სამართალწარმოებაში.

ცხადია, ამ სტრატეგიის სრულად რეალიზება იმთავითვე შეუძლებელი იყო. კონსტიტუციის ცხადიტექსტის კონსტიტუციის გარეთა მოკითხვანიგნორებაშეუძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის აშკარა დარღვევის გარეშე. მოცემულ საქმეშიც მოპასუხე საქართველოს პარლამენტი საქმის არსებით განხილვაზე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიუთითებდა, რომ კვოტირების გასაჩივრებული საკანონმდებლო სქემა სწორედ კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შესრულების მიზნით მიიღო.

ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლო დადგა აუცილებლობის წინაშე, განემარტა და დოქტრინულად ჩამოეყალიბებინა მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიმართება როგორც მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან (ფორმალური თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კონსტიტუციური გარანტია), ისე – სხვა ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებებთან. ამ მიზნის მისაღწევად სასამართლოს ნათლად უნდა გაეცა პასუხი რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვისთვის.

პირველ რიგში, სასამართლოს ცხადად უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფორმალური თანასწორობისა დისკრიმინაციის აკრძალვის გარანტიები შინაარსობრივად თავსებადია თუ არა იმავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პოზიტიურ ზომებთან. თუ აღნიშნული შეუთავსებლობა არსებობს და ამ კონფლიქტის ნორმატიული თეორიის დონეზე საბოლოო გადაწყვეტა შეუძლებელია, იყენებს თუ არა ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამგვარი კონსტიტუციური კონფლიქტების ყოველი კონკრეტული საქმის შემთხვევაში გადასაწყვეტად მიღებულ ისეთ დოქტრინულ და იურისპრუდენციულ საშუალებებს, როგორებიც არის, მაგალითად, თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპი?

კონფლიქტის თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე ყოველ კონკრეტულ საქმეში გადაწყვეტის ნათელი დოქტრინული რეგლამენტაცია ერთ-ერთი შესაძლო გზაა, რომელსაც შედარებითი საკონსტიტუციო სამართალი იცნობს თანასწორობის კონსტიტუციურ იურისპრუდენციაში. ეს მიღვომა ეკუთვნის გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 (2) მუხლის განმარტებისას ჩამოაყალიბა და რომლის მიხედვითაც მე-3(2) მუხლის საფუძველზე მიღებული პოზიტიური

ზომები ზოგადად ეწინააღმდეგებიან ფორმალური თანასწორობის კონსტიტუციურ გარანტიას, თუმცა მათი გამართლება შესაძლებელია, თუ დააკმაყოფილებენ თანაზომიერების კონსტიტუციურ მოთხოვნებს.<sup>23</sup> გერმანიის ძირითადი კანონის ეს ნორმა, განსაკუთრებით კი მისი 1994 წლის საკონსტიტუციო ცვლილების შემდგომი რედაქცია<sup>24</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 (3) მუხლის ინსპირაციად შეიძლება მივიჩნიოთ, რამდენადაც მათ შორის მსგავსება ტექსტის დონეზევე არსებითი და შესამჩნევია.

ამრიგად, გერმანული დოქტრინული ჩარჩოს სესხება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებს შორის მიმართების კონსტიტუციური რეგლამენტაციისთვის გაუმართლებელი იურისპრუდენციული არჩევანი სულაც არ იქნებოდა. თუმცა, განსახილველი გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ამ მიმართების შესახებ ბუნდოვანია. ერთი მხრივ, პლენუმის უმრავლესობა მიანიშნებს პრინციპულ კონფლიქტზე პოზიტიურ ზომებსა და ფორმალური თანასწორობის პრინციპს შორის:

„საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარ პრაქტიკაში არასოდეს დაუდგენია, რომ რაიმე სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, სქესი ქმნიდა იმ რელევანტურ მახასიათებელს, რომელიც ქალებისა და მამაკაცების არსებითად უთანასწორო პირებად მიჩნევის საფუძველს შექმნიდა. ამდენად, სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, თითქმის ყველა სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, ქალი და კაცი არსებითად თანასწორ სუბიექტებად მიიჩნევა. შესაბამისად, სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის ვალდებულებას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული კანონის წინაშე თანასწორობის უფლება უაღრესად მცირე შემთხვევებში შეიძლება მოითხოვდეს.“<sup>25</sup>

მეორე მხრივ კი, საკონსტიტუციო სასამართლო ისე საუბრობს სამართლის მიღმა სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობის აღმოფხვრის კონსტიტუციურ აუცილებლობაზე, თითქოს ის ფორმალური თანასწორობის პრინციპის ორგანული გაგრძელება იყოს და მათ შორის შეუთავსებელი კონფლიქტი არ არსებობდეს:

„კანონის წინაშე თანასწორობის უფლების მიზანია, პირთათვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებით, უზრუნველყოს მათი უნარების თანაბარი რეალიზება, საზოგადოებრივ სიკეთებზე თანაბარი წვდომა. თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ ადამიანის შესაძლებლობების რეალიზებაზე სამართლებრივი გარემოს მიღმა გავლენას ახდენს მრავალი სოციალური ასპექტი. სხვადასხვა სფეროში კანონით თანაბარი მოპყრობა, რიგ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ადამიანის შესაძლებლობების თანაბრად რეალიზებას. სამართალი მოქმედებს კონკრეტულ, მოცემულ საზოგადოებაში და სწორედ ამ საზოგადოების თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლოა,

23 BVerfGE 85, 191 (207); 92, 91 (109).

24 „მამაკაცებს და ქალებს თანასწორი უფლებები აქვთ. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თანასწორი უფლებების ნამდვილ განხორციელებას ქალებისთვის და მამაკაცებისთვის და მიიღოს ზომები აღმოფხვრას არსებული უთანასწორობები.“ – იხილეთ, <https://www.bundesregierung.de/breg-en/chancellor/basic-law-470510>

25 Supra, სქოლით 1, II-23.

სრულიად თანასწორი სამართლებრივი რეგულირებების პირობებში კონკრეტული ჯგუფები, სოციალური გარემოს მოქმედებით შექმნილი ხელოვნური ბარიერების გამო, ვერ ახდენდნენ შესაძლებლობების სხვათა თანაბრად რეალიზებას.... სწორედ ამგვარად, სამართლის მიღმა არსებული სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობის წინააღმდეგ და შესაძლებლობების თანასწორად რეალიზების ხელშეწყობისკენ არის მიმართული საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება.<sup>26</sup>

წინააღმდეგობა ფორმალური თანასწორობის პრინციპსა და პოზიტიურ ზომებს შორის ციტირებული მონაკვეთიდანაც იკითხება, თუმცა სასამართლო რატომდაც უარს ამბობს ლოგიკურ დასკვნამდე საკუთარი მსჯელობის მიყვანაზე. შედეგად, სასამართლო უარს ამბობს აღიაროს პოზიტიური ზომების პრინციპული წინააღმდეგობა ფორმალური თანასწორობის კონსტიტუციურ გარანტიასთან, რაც, გასაჩივრების შემთხვევაში, აუცილებლობით მოითხოვდა მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული ყველა პოზიტიური ზომის სავალდებულო შემოწმებას თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის შესაბამისად. ეს შეფასება მყარდება სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი სტანდარტით: „შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლების შეზღუდვის ინტენსივობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, თითოეული ამგვარი ღონისძიების კონსტიტუციიასთან შესაბამისობა დამოუკიდებლად შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი.“<sup>27</sup>

ამ სტანდარტიდან იკვეთება, რომ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებული პოზიტიური ზომების კონსტიტუციურობა ყველა შემთხვევაში არ მოითხოვს სასამართლოს შეფასებას. დასახელებული რელევანტური ფაქტორი, რომელიც სასამართლოს მხრიდან შემოწმების განხორციელების საფუძველი შეიძლება გახდეს, „უფლების შეზღუდვის ინტენსივობაა.“ სრულად განუსაზღვრელია, რას შეიძლება გულისხმობდეს სასამართლო „სხვა ფაქტორებში“. მისი მსჯელობა ამის პროგნოზირების გონივრულ შესაძლებლობას არ იძლევა.

სწორედ ამ სტანდარტის შესაბამისად, სასამართლო თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით ამოწმებს გასაჩივრებულ კვოტირების საკანონმდებლოს სქემას, როგორც საარჩევნო უფლებაში ჩარევას. გასაგებია, რომ სასამართლო მნიშვნელოვნად შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით, თუმცა მისი მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს გაცდენა არ იქნებოდა, თუ სასამართლო სრულყოფილად და თანმიმდევრულად ჩამოაყალიბებდა პოზიტიური ზომების (მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი) მიმართებას ფორმალური თანასწორობის გარანტიასთან (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი) და პოზიტიური ზომების შემოწმების კონსტიტუციურ სტანდარტსაც ამ მიმართების შესაბამისობაში დაადგენდა.

მოცემული მდგომარეობით, თანასწორობის კონსტიტუციური შემოწმების დოქტრინა ურთიერთგამომრიცხავი და შეუთავსებელი ელემენტებისგან შედგება. შინაარსობრივი წინააღმდეგობიდან გამომდინარე შეუძლებელია სასამართლო ერთდროულად ინარჩუნებდეს თანასწორობის ფორმალურ პრინციპსაც და ამავე დროს არ აღიარებდეს, რომ ყველა

26 Ibid. II- 24,25.

27 Ibid. II- 29.

სამართლის უზენაესობა „ქამელეონი სასამართლოს“ იურისპრუდენციაში...

პოზიტიური ზომა თავისი შინაარსით ამ პრინციპს ეწინააღმდეგება და ამ კონფლიქტის გადასაჭრელად თანაზომიერების პრინციპის გამოყენება არის საჭირო.

ერთადერთი ალტერნატიული გზა ამ წინააღმდეგობის გადასალახად და პოზიტიური ზომების უფრო ნაკლებად მკაცრი კონსტიტუციური ტესტით შესამოწმებლად არის ფორმალური თანასწორობის პრინციპის სრულად უარყოფა არსებითი თანასწორობის პრინციპის სასარგებლობა. თუმცა ეს სასამართლოს დოქტრინული არჩევანის საგანი არ არის და ამის მყარ საფუძველს თავად კონსტიტუცია უნდა იძლეოდეს. აღნიშნული მიდგომის ნათელი იღუსტრაცია არის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 1996 წლის კონსტიტუცია და სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი კონსტიტუციური დოქტრინა.

პირველ რიგში აღსალნიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის მიღებას წინ უძლოდა ბრძოლა სამართლებრივად ინსტიტუციონალიზებული რასიზმის -აპართეიდის რეჟიმის წინააღმდეგ. სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის შემქმნელების გაცხადებული მიზანი აპართეიდის შედეგების აღმოფხვრა და სამხრეთ აფრიკული საზოგადოების ეგალიტარისტულ საფუძვლებზე ტრანსფორმაციაა.

როგორც სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „ამ სასამართლოს იურისპრუდენცია ნათელყოფს, რომ თანასწორობის უფლების სათანადო ფარგლები უნდა განისაზღვროს ჩვენს ისტორიასა და კონსტიტუციის ფუძემდებლურ ღირებულებებზე მითითებით. როგორც ვხედავთ, უმთავრესი კონსტიტუციური მიზანი არის არა რასობრივი და არა სექსისტური ეგალიტარისტული საზოგადოების შექმნა... აქედან მომდინარეობს თანასწორობის კონცეფცია, რომელიც სცდება უბრალო ფორმალურ თანასწორობასა და უბრალო დისკრიმინაციის აკრძალვას, რომლებიც იდენტურ მოპყრობას მოითხოვენ, მიუხედავად საწყისი პირობებისა ან ზეგავლენისა.“<sup>28</sup>

არსებითი თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს, სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლო განასხვავებს სხვა კონსტიტუციური იურისდიქციებისგან, სპეციფიკურად კი – აშშ-სგან: „ამგვარად ჩვენი კონსტიტუცია ფუნდამენტურად განსხვავდება სხვა კონსტიტუციებისგან, რომლებიც ნაგულისხმევად იღებენ, რომ ყველა თანასწორია და ამ გზით არსებულ უთანასწორობებს ადულაბებენ. ჩვენი კონსტიტუცია აღიარებს, რომ აპართეიდის სამართლებრივი წესრიგის მიერ დეკადების მანძილზე ჩაშენებული სისტემური რასობრივი დისკრიმინაცია ვერ აღმოიფხვრება ამ შედეგის მისაღწევად პოზიტიური მოქმედების გარეშე.“<sup>29</sup>

საბოლოოდ კი, სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლო არსებითი თანასწორობის ყოვლისმომცველ კონცეფციას აყალიბებს: „... თანასწორობის არსებითი ცნება აღიარებს, რომ ჩვენი საზოგადოების უთანაბრო რასობრივ, კლასობრივ და გენდერულ ატრიბუტებთან ერთად არსებობს სოციალური დიფერენციაციისა და სისტემური არაპრივილეგირებულობის

28 Minister of Finance and Other v Van Heerden (CCT 63/03) [2004] ZACC 3; 2004 (6) SA 121 (CC); 2004 (11) BCLR 1125 (CC); [2004] 12 BLLR 1181 (CC) (29 July 2004)

29 Bato Star Fishing (Pty) Ltd v Minister of Environmental Affairs and Tourism and Others (CCT 27/03) [2004] ZACC 15; 2004 (4) SA 490 (CC); 2004 (7) BCLR 687 (CC) (12 March 2004)

სხვა დონეებიც, რომლებიც კვლავ ნარჩუნდება. კონსტიტუცია ჩვენგან მოითხოვს მათ მოშლას და არახელსაყრელი მდგომარეობის ახალი პატერნების შექმნისთვის ხელის შეშლას.<sup>30</sup>

შესაბამისად, ფორმალური თანასწორობის იდეალის ამგვარი სისტემატური უარყოფის შემდეგ ცხადია, რომ სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო დოქტრინაში პოზიტიური ზომები იმთავითვე არ მიიჩნევა თანასწორობის უფლებაში ჩარევად/თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ და მათი კონსტიტუციურობა დამოუკიდებლად, ნაკლებად მკაცრი და კანონმდებლისთვის მარტივად დასაძლევი ტესტის მიხედვით ფასდება.<sup>31</sup>

აქვე ხაზგასმით აღსალნიშნავია, რომ განსხვავებით საქართველოს (და გერმანიის) კონსტიტუციური დოკუმენტებისგან, სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის მე-9 (2) სექცია პოზიტიურ ზომებს მხოლოდ სქესის ან გენდერის ნიშნით არ შემოსაზღვრავს და ასეთი ზომების ზოგად და ყოვლისმომცველ მანდატს ითვალისწინებს: „თანასწორობის მიღწევის ხელშესაწყობად, შესაძლებელია მიღებული იქნეს საკანონმდებლო, ან სხვა ზომები იმ პირების, ან პირთა კატეგორიების დასაცავად, ან დასაწინაურებლად, რომლებიც არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან უსამართლო დისკრიმინაციის გამო“<sup>32</sup>

საქართველოს კონსტიტუცია, განსხვავებით სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციისგან, არ მოიცავს არსებითი თანასწორობის იმგვარად ძლიერ ცნებას, რომსასამართლოს პერიოდული მიზანი, თუნდაც უმნიშვნელო საფუძველი მაინც, კონსტიტუციის მიღმა ამოიკითხოს ფორმალური თანასწორობის გარანტია. მეტიც, სასამართლო ცდილობს შეინარჩუნოს ფორმალური თანასწორობის პრინციპის ძირითადი დოქტრინული ელემენტები საკუთარ მსჯელობაში და, რაც ყველაზე უცნაური და ყოველგვარ ნორმატიულ-თეორიულ საფუძველს მოკლებულია, ამტკიცოს, რომ პოზიტიური ზომები არათუ პრინცულად თავსებადია ფორმალური თანასწორობის პრინციპის ლოგიკასთან, არამედ მეტიც, მისი მიზნისა და სულისკვეთების განხორციელებას ემსახურება:

„სენებული დებულების [საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი] მიზანია ფაქტობრივი თანასწორობის ხელშემწყობი გარემოებების შექმნა და არა თანასწორობის ხელოვნურად უზრუნველყოფა. კონსტიტუციის მიზანია პირთა შესაძლებლობების გამოვლენის ხელშემშლელი ფაქტორების ნეიტრალიზება და არა შედეგების თანასწორობის ხელოვნური უზრუნველყოფით წარმატების მისაღწევად ადამიანის შრომის უგულებელყოფა, პირის საკუთარი განვითარებისა და წარმატების დამსახურების მიხედვით მიღწევის იგნორირება. კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც ქალი და მამაკაცი თანაბარი შრომითა და უნარებით თანაბარ წარმატებას მიაღწევენ. სენებული კი შესაძლებელია მიღწეულ

30 Van Heerden, *Supra*

31 ტესტს სამი ელემენტები აქვს, რომლის ფარგლებშიც სასამართლო ამოწმებს შემდეგს: პირები, არის თუ არა ზომის სამიზნე პირები, ან პირთა ჯაუფები, რომლებიც არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩავარდნენ უსამართლო დისკრიმინაციის გამო; მეორე, არის თუ არა ზომი შექმნილ ასეთი პირების, ან პირთა კატეგორიების დასაცავად; ან დასაწინაურებლად; და მესამე მოთხოვნა გულისხმობს იმის დადგენას, ხელს უწყობს თუ არა ეს ზომა თანასწორობის მიღწევას. აღნიშნული ტესტი სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა Van Heerden-ის საქმეში.

32 Section 9 (2) of The Constitution of the Republic of South Africa. იხილეთ,  
<https://www.gov.za/documents/constitution/constitution-republic-south-africa-1996-1>

იქნეს სქესთან დაკავშირებული და მისგან მომდინარე წარმატებისთვის ხელისშემშლელი ხელოვნური ბარიერების დამაბალანსებელი მექანიზმების შექმნით.<sup>33</sup>

თუ იმგვარი პოზიტიური ზომები, რომლებიც, სასამართლოს სიტყვებითვე, „შედეგების თანასწორობის ხელოვნური უზრუნველყოფისკენ“ არის მიმართული, შეუთავსებელია მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებთან, მაშინ სასამართლოს მეტი დასაბუთება სჭირდება ისეთი „უიქსირებული და შედეგზე მიმართული კვოტის“ კონსტიტუციურად მისაჩინევად, როგორიც სასამართლოს მიერვე კონსტიტუციურად მიჩნეული კვოტირების სქემაა. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად სასამართლო მიმართავს სტანდარტულ არგუმენტს<sup>34</sup>, რომ არჩევითი პოზიციები უნდა განვასხვავოთ პროფესიული თანამდებობებისგან, რადგან ამ უკანასკნელთა შემთხვევაში არსებობს „ობიექტურად“ განსაზღვრადი ფაქტორები, როგორებიცაა კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი და აშ.<sup>35</sup>

სასამართლოს მიერ დანახული მკაცრი კონტრასტი არჩევნებსა და შიდაპარტიულ დემოკრატიას, ერთი მხრივ, და პროფესიულ სფეროს შორის, მეორე მხრივ, რომლის მიხედვითაც პირველი სრულად დაცლილია ისეთი ობიექტური ფაქტორებისგან, რომლებიც არჩევანის გონივრულ, ღირებულებით განსჯასა და ინდივიდუალურ ღირსებებზე დაფუძნებით გაკეთების შესაძლებლობას შექმნიდა, მნიშვნელოვან წინააღმდეგობაშია როგორც დემოკრატიის პრინციპთან, ისე – პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციური როლის მისეულ განმარტებასთან. როგორც ქვემოთ განვიხილავთ, აღნიშნული პრინციპების არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი განმარტება სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კიდევ ერთი სამწუხაო შედეგია.

განსახილველი გადაწყვეტილებით, განუსაზღვრელი რჩება პოზიტიური ზომების მიღებისას საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციური დისკრეციის პარამეტრებიც. სასამართლოს მტკიცებით, „კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი არ მოითხოვს ნებისმიერ სფეროში განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობის უზრუნველყოფას.“ ერთი შეხედვით, ეს წინადადება თითქოს წააგავს დოქტრინულ წესს, რომელიც ავიწროვებს პოზიტიური ზომების მოქმედების სფეროს. თუმცა, ეს წინადადება ვერ აკმაყოფილებს არათუ წესისთვის, არამედ სტანდარტისთვის აუცილებელი სიცხადის მოთხოვნებსაც კი.<sup>36</sup>

სასამართლოს სრული მსჯელობიდან უცნობია, თუ როგორ განისაზღვრება საზოგადოებრივი ცხოვრების ის სფეროები, რომლებშიც კონსტიტუცია არ მოითხოვს პოზიტიური ზომების მიღებას. ამგვარი განუსაზღვრელობა აზიანებს სასამართლოს გადაწყვეტილების ლეგიტიმაციასა და სამართლის უზენასობის ღირებულებებს, თუმცა,

33 *Supra*, სქოლიო 1, II- 28.

34 იხილეთ მაგალითისთვის, M. Wräse, Gender Equality in German Constitutional Law, Discussion Paper P 2019–005 Wissenschaftszentrum Berlin für Sozialforschung (2019), <https://bibliothek.wzb.eu/pdf/2019/p19-005.pdf>

35 *Supra*, სქოლიო 1, II- 63-66.

36 წესებსა და სტანდარტებს შორის განსხვავებაზე მრავალფეროვანი ლიტერატურიდან საილუსტრაციოდ იხილეთ: Frederick Schauer, The Tyranny of Choice and the Rulification of Standards, 14 J. CONTEMP. LEGAL ISSUES 803, 803 n.1 (2005); Cass R. Sunstein, Problems with Rules, 83 CAL. L. REV. 953, 961-962 (1995); JOSEPH RAZ, PRACTICAL REASON AND NORMS (1990).

მეორე მხრივ, იდეალურია „პრაგმატისტი ქამელეონის“ როლისთვის, რომელიც სასამართლოს აქვს მორგებული.

პოზიტიური ზომების მოწინააღმდეგებისათვის ეს ბუნდოვნება აჩენს იმედს, რომ შემდეგ სამართალწარმოებებში შეძლებენ კონსტიტუციურად შეზღუდონ აღნიშნული ზომების კონსტიტუციურად დასაშვები მოქმედების სფერო. მომხრებისთვის, კი თუმცა ეს მითითება ზოგადად არახელსაყრელია, არც განსაკუთრებული შეშფოთების საფუძველს ქმნის.

თავად სასამართლო იტოვებს „პრაგმატულ სივრცეს“ სამომავლო მანევრისთვის ორივე შესაძლო მიმართულებით. განსახილებელ გადაწყვეტილებაში სასამართლო მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის პოზიტიურ ზომას განსაზღვრავს სქესის ნიშნით. თუმცა იქვე არ აკონკრეტებს კონსტიტუციური დოქტრინის მიზნებისთვის სქესის ცნების გარშემო არსებულ სამეცნიერო (თუ კულტურულ) დავაში რა არჩევანს აკეთებს, სქესს მხოლოდ ბიოლოგიურ კატეგორიად მოიაზრებს, თუ სოციალურ კონსტრუქციად(აც)?

როდესაც სასამართლო ამბობს, რომ „თითქმის ყველა სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, ქალი და კაცი არსებითად თანასწორ სუბიექტებად მიიჩნევა“, აქ „თითქმის“ ხომ არ შეიცავს დათქმას, რომ შეიძლება არსებობდეს ცალკეული განსხვავებები სქესთა შორის, რომელმაც შეიძლება გაამართლოს ცალკეულ სფეროებში წარმომადგენლობითი დისბალანსი, მით უფრო, რომ მსგავსი მსჯელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე განვითარებული აქვს სავალდებულო სამხედრო სამსახურთან მიმართებით?<sup>37</sup>

ტოვებს რა ამ კითხვებს სრულად პასუხებამელს, სასამართლო არც იმ შესაძლებლობაზე ამბობს უარს , რომ ერთ დღესაც, გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, საერთოდ უარი თქვას სქესის კატეგორიაზე კონსტიტუციურ დოქტრინაში და გენდერით, უფრო მეტიც, გენდერის არაბინარული კონცეფციებით ჩაანაცვლოს და გენდერული იდენტიფიკაციის სრული სპექტრი მოიცვას, მათ შორის- პოზიტიური ზომების კონსტიტუციური მანდატის მიზნებისთვისაც.<sup>38</sup>

37 „სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზება და ამ მიზნით ადამიანური რესურსების მობილიზება თუ წვრთნა, განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს თრგინთა განმეორებას და, ამასთან, მოითხოვს პრიფესიულ სამხედრო ექსპერტიზას. შესაბამისად, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებისამებრ, სამხედრო აღრიცხვებასა და შემდგომში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას (რაც გულისხმობს სპეციალურ სამხედრო წვრთნასა და საბრძოლო მოქმედებებისათვის მშადებას) დაუკერძებაროს საზოგადოების ის ჯგუფი, რომელიც მეტად აკადემიულებს ამგვარი სამსახურისათვის დადგენილ სპეციალურ მოთხოვნებს და იმ მოულობაც საჭიროა, ასევე რამდენის პროფესიული წვრთნის შესაძლებლობაც რეასხობს, რათა მაქსიმალურად ეფექტურად იქნება მიმწერული ზემოთ სენაციული ლეგიტიმური მიზნები... ის ფაქტი, რომ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სწავლის მსურველი მამაკაცებისა და ქალებისათვის დადგენილი შეიძლება იყოს განსხვავებული ფიზიკური მოთხოვნები და ნორმატივები, მიუჟითებს არა სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობაზე, არამედ პირიქით, ამგვარი მოპყრობისაგან დაცვაზე და საბოლოოდ ემსახურება ხარისხანი პროფესიული განათლების მიღებისა და მაღალი კომპეტენციის მქონე სამხედრო მოსამსახურთა კონტინგენტის ჩამოყალიბებას. ერთი და იმვე მკაცრი ფიზიკური სტანდარტები შესაძლებელია პრიტით, უთანასწორო ყოფილიყო აკადემიაში სწავლის მსურველი ქალებისათვის, ისევე, როგორც შედარებით ნაკლებად მკაცრი სტანდარტების დაწესებით ჯეროვნად ვერ მიღწეულიყო სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნები. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ გამოიჩახა, რომ ინდივიდუალურად ქალთა გარკვეულმა ჯგუფმა შეიძლება დააკადემიულოს მამაკაცებისათვის დაგენერიული ფიზიკური ნორმატივები, ისევე, როგორც ყველა მამაკაცი შესაძლოა ვერ აკადემიულებდეს თავად მათი ჯგუფისათვის დადგენილ ამგვარ ნორმატივებს:“ – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/7/580, საქართველოს მოქალაქე გიორგი კეკენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 30 სექტემბერი 2016, II-31, 35.

38 BVerfGE 147, 1 (28).

განსახილველ გადაწყვეტილებაში არანაკლებ პრობლემურია პოზიტიური ზომების მიღების საკანონმდებლო დისკრეციის შემოსაზღვრა საჭიროების განსაზღვრისა და საშუალებების არჩევის ნაწილში. როგორც სასამართლო აღნიშნავს: „ბუნებრივია, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი სახელმწიფოს არ აღჭურავს უფლებამოსილებით, სათანადო ფაქტობრივი საჭიროების გარეშე გადაუხვიოს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლების მოთხოვნებიდან და გამოიყენოს რომელიმე სქესის წახალისებისკენ მიმართული ონისძიებები.“<sup>39</sup>

ბუნდოვანია, როგორია „სათანადო ფაქტობრივი საჭიროება“? კონსტიტუციურად განსაზღვრადი ცნებაა, თუ სასამართლო „სათანადო“ მიღებს საკანონმდებლო ორგანოს მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ თანმიმდევრულ დასაბუთებას, თუ ის აშკარად არაგონივრული არაა, ანუ გამოავლენს ე.წ. „დათმობის“ პოლიტიკას საკანონმდებლო ორგანოს განსჯისა და მისი საექსპერტო ცოდნის მიმართ? ამ კითხვებს პასუხს არ სცემს და კიდევ უფრო აბუნდოვნებს დამატებითი კრიტერიუმის „რეალური საჭიროების“ გამოჩენა („შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, რამდენად წარმოადგენს ეს რეგულაცია და ამგვარად საარჩევნო უფლებების შეზღუდვა სწორედ რეალური, საზოგადოებაში არსებული საჭიროებების გამოძახილს და, ამ საჭიროებებიდან მომდინარე, შედეგების დაბალანსებისკენ მიმართულ საშუალებას.“<sup>40</sup>)

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასამართლო აქ სრულად „დათმობის პოლიტიკას“ არ მისდევს და „სათანადო“ თუ „რეალური“ საჭიროებების შეფასებას დამოუკიდებლადაც ახდენს. თუმცა რა არის ამ შეფასების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტი? საქმე ისაა, რომ ასეთი შეფასება ცხადი სამართლებრივი სტანდარტებით ვერც მოხდება. კონსტიტუციურ თეორიაში, განსაკუთრებით კი, როცა საქმე ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ეხება, ნაკლები პოპულარობით სარგებლობს საკანონმდებლო ორგანოს განსჯისადმი დათმობისა და მისი საექსპერტო ცოდნის აღიარების მიდგომა. 41 თუმცა ამ მიდგომას თავისი გამართლებაც აქვს.

კერძოდ, საკანონმდებლო ორგანო ფართო წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელსაც მეტი პირდაპირი კავშირი აქვს როგორც საზოგადოების ყველა სისტემურ ელემენტთან და ინტერესთან, ასევე უფრო სწრაფად რეაგირებს ცვალებად გარემოებებზე და, რაც მთავარია, გააჩნიასასამართლოზე განუზომლად დიდი წვდომასპეციალურსაექსპერტოკომპეტენციასთან და რესურსებთან, რომლებიც გაფანტული ინფორმაციის მოძიების, დამუშავების ანალიზისა და საფარო პოლიტიკებად ფორმირებისთვის არის საჭირო.

სასამართლებს ეს რესურსი თავად არ გააჩნიათ. შესაბამისად, როდესაც კანონმდებლის მიერ სპეციალურ ცოდნასა და ექსპერტიზაზე დაფუძნებული მოცულობითი არგუმენტაციის გონივრულობის შეფასება სჭირდებათ, ამისთვის ექსპერტი მოწმების დახმარებას მიმართავენ და ხშირად დღეების განმავლობაში იკვლევენ მხარეების მიერ წარმოდგენილ შესაბამის არგუმენტებს. ამგვარი პრაქტიკა არც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის

39 Supra, სქოლით 1, II- 28.

40 Ibid. II- 30.

41 T.R.S. Allan, Judicial Deference and Judicial Review: Legal Doctrine and Legal Theory, 127 L. Q. Rev. 96 (2011).

არის უცხო, თუმცა რატომღაც მოცემულ საქმეში სასამართლომ თავი განსაკუთრებით მყარად იგრძნო სოციალურ მეცნიერებებში საკუთარი საექსპერტო ცოდნის კუთხით.

შედეგად, სასამართლოს წილამდები სოციალური მეცნიერებისა თუ თეორიის მიმართულებით, უფრო მეტ კითხვას ტოვებს, ვიდრე ქმნის დამაჯერებელ არგუმენტს. მაგალითისთვის, ქალთა კვოტირების სქემის გამოსადეგობის შემოწმებისას სასამართლო ამტკიცებს: „განსახილველ საკითხზე სრულფასოვანი მსჯელობისათვის აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული 2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგები სქესობრივი ბალანსის კონტექსტში.“<sup>42</sup> სოციალური კვლევის მეთოდების ანბანია, რომ ნებისმიერი მეთოდოლოგიური არჩევანი დასაბუთებას მოითხოვს. ეს დასაბუთება სასამართლოს არ აქვს.

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი მაღალი სტატუსი არ ათავისუფლებს მსგავსი დასაბუთების ვალდებულებისგან. მით უფრო, რომ ის საკუთარი არგუმენტაციისთვის დამატებითი წონისა და დამაჯერებლობის მისაცემად იყენებს მისთვის უცხო სამეცნიერო დისკურსს. ის შესაბამისად ვალდებულია, რომ ამ დისკურსის შიდა მოთხოვნებს დაემორჩილოს. ღრმა მეთოდოლოგიური ანალიზის გარეშეც, თავად სასამართლოს მსჯელობაში მოყვანილი ფაქტებიც კი წამოჭრის ლეგიტიმურ ეჭვებს იმაზე, თუ რატომაა მხოლოდ 2016 წლის არჩევნების შედეგების „სქესობრივი ბალანსი“ რელევანტური.

რამდენიმე პარაგრაფით ზემოთ, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის პრობლემის რეალურობის სადემონსტრაციოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მოჰყავს შემდეგი ფაქტობრივი მონაცემები: „საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია და ბოლო სამი მოწვევის ფარგლებში მერყეობს 5-დან 16 პროცენტამდე. ქვეყანაში არსებობს რეალობა, რომ საუკეთესო მაჩვენებელი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პროპორციული სისტემის ფარგლებში არჩეულ დეპუტატებს შორის ქალთა წარმომადგენლობის კუთხით დაფიქსირებულა, შეადგენს მხოლოდ 23,38 პროცენტს (2016 წლის საპარლამენტო არჩევნები). ქალთა დაბალ წარმომადგენლობას არა ერთჯერადი, არამედ განვრძობადი ხასიათი აქვს (დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ქალთა წარმომადგენლობა არასოდეს ყოფილა 16 პროცენტზე მეტი).“<sup>43</sup>

საგულისხმოა, თუ რატომ არ აინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს მონაცემები დინამიკაში. კერძოდ, აღინიშნებოდა თუ არა ქალთა წარმომადგენლობის ზრდა არჩევნების მიხედვით? რა დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს იყენებდნენ სოციალური მეცნიერები ამ დინამიკის ანალიზისას? არსებობს თუ არა საერთოდ ასეთი ანალიზები და რა ჰიპოთეზებისა თუ დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს ის სოციალურ მეცნიერებს? ჰქონდა თუ არა ამ ინფორმაციას გავლენა პარლამენტის მიერ გასაჩივრებული საკანონმდებლო სქემის ფორმირებაზე? ეს კითხვები პასუხისმგებელი რჩება და მათთან ერთად დაუსაბუთებელი რჩება ისიც, თუ რატომაა მხოლოდ ბოლო, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების „სქესობრივი

42 Supra, სქოლით 1, II- 50.

43 Ibid. II- 31.

ბალანსი“ რელევანტური ფაქტორი კვოტირების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა გავიმტეოროთ, რომ სასამართლო ვალდებული არ არის საკუთარი სამართლებრივი დასაბუთება სოციალური მეცნიერებების ან სხვა სამეცნიერო ცოდნას დააფუძნოს, თუმცა, როდესაც ის ამ ცოდნას დოქტრინული ან იურისპრუდენციული არგუმენტის დასაფუძნებლად ან გასამყარებლად მიმართავს, ის ვალდებულია, რომ ცოდნის ამ სფეროებში მიღებული ვალიდურობის კრიტერიუმები დაიცვას.

საჭიროების დადგენის დისკრეციის მიღმა, სასამართლოს გადაწყვეტილებაში პოზიტიური ზომების გასატარებლად კონკრეტული საშუალებების არჩევის დისკრეციაც არანაკლებ განუსაზღვრელადაა ფორმულირებული. სასამართლოს მიხედვით: „აღსანიშნავია, რომ დასახელებული კონსტიტუციური დებულება არ ზღუდავს სახელმწიფოს მოქმედებას კონკრეტული ღონისძიებებით. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მიზანს, რომლის მისაღწევადაც გამოყენებული მეთოდისა და მექანიზმების შერჩევისას, სახელმწიფოს შედარებით ფართო დისკრეცია გააჩნია. ასევე, ცხადია, რომ ამგვარად კონსტიტუციურად დეკლარირებული მიზნის არსებობა, მიუხედავად მისი მომეტებული საზოგადოებრივი მნიშვნელობისა, თავისთავად, ვერ გაამართლებს სქესთა შორის დისბალანსის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ სახელმწიფოს ნებისმიერ ქმედებას.“<sup>44</sup>

მიუხედავად სასამართლოს მითითებისა, რომ ეს „შედარებით ფართო დისკრეცია“ შესაძლოა შემოწმებას დაექვემდებაროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ შესაბამისი ზომით სხვა ფუნდამენტური უფლების ინტენსიური შეზღუდვის საკითხი არ არის, სასამართლოს მიერ თანაზომიერების პრინციპის გამოყენება ეჭვევეშ დგას. შესაბამისად, ეს გავლენას ახდენს პროპორციულობის ანალიზის სიმკაცრეზე, როდესაც დამატებით სხვა კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევაც ხდება (როგორც განსახილველ საქმეში). ასეთ შემთხვევაში პროპორციულობის შემოწმება ნაკლებად მკაცრი ვერ იქნება, რადგან ჩარევა ერთდროულად როგორც ფორმალური თანასწორობის გარანტიაში, ისევე სხვა კონსტიტუციურ უფლებაშიც ხდება. აღნიშნულის არაღიარება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეში პირდაპირ განაპირობებს თანაზომიერების შემოწმების ნაკლებ სიმკაცრეს.

ეს არის განსახილველი გადაწყვეტილებით შექმნილი მოცემულობა. მაშინ, როდესაც, ამ მდგომარეობით, ფორმალური თანასწორობის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციის ზოგად პრინციპად რჩება, ხოლო მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პოზიტიური ზომების საფუძველში არსებული არსებითი თანასწორობის ლოგიკა – გამონაკლისად. შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა შეეძლოს უარი თქვას ამ კონფლიქტის თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით გადაჭრაზე.

ამრიგად, ფუნდამენტურად არათანმიმდევრულია და კონსტიტუციის ლოგიკას მოკლებული, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პოზიტიური ზომების კონსტიტუციურობის

44 Ibid. II- 29.

შემოწმება თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე მხოლოდ მაშინ, როდესაც შესამოწმებელი ზომა ფორმალური თანასწორობის გარანტიის მიღმა ზღუდავს რომელიმე კონსტიტუციურ უფლებას. აუცილებელია მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებული ყველა პოზიტიური ზომის შემოწმება თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე იმის მიუხედავად, ხდება თუ არა ამ ზომით დამატებით რომელიმე ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა.

## კონტექსტის უკირატესობილენ კონტექსტის საღმის სისრმევემდე ერთი გედაწყვეტილების ფურგლებში – დემოკრატიის პრინციპი და კურტიული დემოკრატია

პარტიულ საარჩევნო სიებში ქალთა კვოტირების საჭიროებისა და პროპორციულობის დასასაბუთებლად საკონსტიტუციო სასამართლომ სოციალური კონტექსტისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობა გამოავლინა. სასამართლოს გადაწყვეტილების ცალკეული პარაგრაფები იკითხება, როგორც ფართო სოციალური კომენტარი საქართველოს საზოგადოების სექსისტურ სტერეოტიპებსა და მათგან გამოწვეულ თუ მათთან დაკავშირებულ ფაქტობრივ უთანასწორობებსა და ჩაგვრაზე.

ამის გათვალისწინებით, შესაძლოა მთლად უსაფუძვლოც არ ყოფილიყო მოლოდინი, რომ სასამართლო ასევე დაინტერესდებოდა იმ შედარებით ვიწრო კონტექსტით, რომელიც საქართველოს პოლიტიკაში პარტიების მიერ იქმნება, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული ზომების მთავარი აღრესატები სწორედ პოლიტიკური პარტიები არიან.

ამის ნაცვლად, სასამართლო ძირითადად ზოგადი პრინციპების გამეორებითა და რამდენიმე მთავარი არგუმენტის ფორმულარული გაბათილებით შემოიფარგლა, რომლებიც კვოტების არაკონსტიტუციურობის დამდგენი ევროპული საკონსტიტუციო სასამართლოების დასაბუთების საფუძველს ქმნიდა. სასამართლო არც ერთ ამ გადაწყვეტილებას არ ციტირებს, თუმცა მათგან ყველაზე ახალმა, გერმანიის ტურინგიის ლანდის საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობამ გენდერული კვოტირების არაკონსტიტუციურობაზე<sup>45</sup>, გავლენა მოახდინა როგორც წინამდებარე საქმეში მოსარჩელის არგუმენტაციაზე, ისე – სასამართლოს დასაბუთებაზეც.

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე უპასუხებს უფრო ძველი, მაგალითად, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს 1982 წლის წლის გადაწყვეტილებიდან მომდინარე არგუმენტებსაც. კერძოდ, საკონსტიტუციო საბჭო მიუთითებდა სახალხო სუვერენიტეტის კონსტიტუციურ

45 [http://www.thverfgh.thueringen.de/webthfj/webthfj.nsf/8104B54FE2DCDADDC12585A600366BF3/\\$File/20-00002-U-A.pdf?OpenElement](http://www.thverfgh.thueringen.de/webthfj/webthfj.nsf/8104B54FE2DCDADDC12585A600366BF3/$File/20-00002-U-A.pdf?OpenElement)

პრინციპზე, საიდან გამომდინარეობს, რომ „ერი“, როგორც პოლიტიკური სუვერენი, ერთიანია, ის მოქმედებს როგორც ერთი „ამომრჩევლის სხეული“, რომელიც ერთიან არჩევანს აყალიბებს. ამ ნორმატიული დაშვების პრაქტიკაში შენარჩუნება კი შეუძლებელია, თუ არჩევნების ორგანიზაციისას ფორმალური თანასწორობის იდეალი ზედმიწევნით და განუხრელად არ იქნება შესრულებული.<sup>46</sup>

ამ არგუმენტის საპასუხოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამტკიცებს, რომ: „სადაც რეგულირება არა თუ არ ამცირებს ქვეყნის მართვაში საზოგადოების ჩართულობას, არამედ უფრო მეტად ზრდის მას. ნორმის მოქმედების შედეგად იზრდება ალბათობა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 100 პროცენტისგან იქნება წარმოდგენილი ხალხი პარლამენტში, ნაცვლად უმეტესად კაცებისა.“ ამ წინადადების მათემატიკური ელემენტი და მისი ღოგიგა დროებით რომ დავივიწყოთ, სასამართლოს იმის მტკიცება უნდა, რომ ქალთა კვოტირების სქემა „ამომრჩეველთა სხეულს“ კი არ ანაწევრებს, არამედ უფრო ამთლიანებს და უფრო სრულყოფილად წარმოადგენს საჯაროხელისუფლების განხორცილებაში. ყოველ შემთხვევაში, ამის „ალბათობას ზრდის“.

კვოტების ამგვარი ან ნებისმიერი სხვა ეფექტის პროგნოზირება ან გამოკვლევა კი შეუძლებელია პარტიული სტრუქტურისა და პარტიული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების გათვალისწინების გარეშე. უმრავლეს ემპირიულ კვლევებში სოციალური მეცნიერები ერთ-ერთ ძირითად ცვლადადსწორედ პარტიულ სტრუქტურასა და შიდაპარტიული დემოკრატიის/გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს იღებენ.<sup>47</sup> სხვა კვლევები კი მიუთითებენ, რომ კვოტებს მხოლოდ მაშინ აქვთ სასურველი ეფექტი დაზურულ პროპორციულ პარტიულ სიებში, როდესაც პარტიის ელიტებს კვოტების იმპლემენტაციის მოთხოვნა აიძულებთ მიიღონ უფრო ცენტრალიზებული<sup>48</sup> და ბიუროკრატიზებული<sup>49</sup> პარტიული სიის შედგენის მექანიზმები.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რომელიც კონტექსტუალურ არგუმენტებსაც ისევე სელექციურად და არათანიმდევრულად იყენებს, როგორც ნორმატიულ და დოქტრინულ დასაბუთებას, სოციალური მეცნიერების მიერ გამოვლენილი ეს დაკვირვებები, ალბათ, სრულად უინტერესოა. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, გასაჩივრებული სქემა პარტიის მოქმედების თავისუფლებაში, მათ შიდა დემოკრატიულ პროცესსა და ამომრჩეველთა ნების ფორმირებაში სახელმწიფოს მიერ ჩარევაა, თუმცა არა „არსებითი“, რაც მას არაკონსტიტუციურად აქცევდა.

46 იხილეთ: <https://www.conseil-constitutionnel.fr/decision/1982/82146DC.htm>; Éléonore Lépinard, The French Parity Reform, in Transforming Gender Citizenship: The Irresistible Rise of Gender Quotas in Europe 62–93 (Éléonore Lépinard & Ruth Rubio-Marín eds., 2018).

47 მაგალითისთვის, ამ უახლესი კვლევით, ასევე მნიშვნელოვანია პარტიის შიდა წესები იმ კარიერული პოლიტიკოსების მიმართ ვისაც ადგილები აქვთ გარანტირებულად დაკავებული (incumbents). თუ ასეთი პოლიტიკოსების როტაციის შიდაპარტიული წესები არ შეიცვალა, გენდერულ კვოტებს შესაძლოა უმნიშვნელო შედეგი ჰქონდეს. Stephen A. Meserve, Daniel Pemstein & William T. Bernhard, Gender, Incumbency and Party List Nominations, 50 British Journal of Political Science 1–15 (2020).

48 Maarja Luhiste, Party Gatekeepers' Support for Viable Female Candidacy in PR-List Systems, 11 Politics & Gender 89–116 (2015).

49 Elin Bjarnegård, Pär Zetterberg, Political Parties and Gender Quota Implementation: The Role of Bureaucratized Candidate Selection Procedures, Comparative Politics. 2016;48(3):393.

ჩარევის არაარსებითი ხასიათი სასამართლოს მტკიცებით ძირითადად იმ დაშვებებს ეფუძნება, რომ კვოტა თვალსაზრისობრივად ნეიტრალური და დეპერსონალიზებულია, არ უზრუნველყოფს იდენტიფიცირებადი თვალსაზრისების/იდეოლოგიების და პიროვნებების წარმომადგენლობის სამართლებრივი იძულებით გარანტირებულ შედეგს. აქ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს ტურინგიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობის ხაზს, რომელიც ეფუძნება პოლიტიკური პარტიების განსაკუთრებულ როლს დემოკრატიული პოლიტიკური ნებისა და გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში. ტურინგიის საკონსტიტუციო სასამართლო ამის გათვალისწინებით მოითხოვს, რომ ეს პროცესი „სახელმწიფოსგან თავისუფლად“ („staatsfrei“) წარიმართოს.

„სახელმწიფოსგან თავისუფლება“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ესმის, როგორც პარტიული გადაწყვეტილების მიღების წესებსა და პროცედურებში თვალსაზრისობრივად ნეიტრალური ჩარევა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გასაჩივრებული ზომის თავსებადობას საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლთან დამოუკიდებლად არ აფასებს, დემოკრატიის პრინციპთან შესაბამისობაზე მსჯელობის ფარგლებში ჩარევის გამართლების ცალკეული პარამეტრები მარც იკვეთება.

ცხადია, საქართველოს კონსტიტუცია უშვებს პარტიების თავისუფლებაში ჩარევას. თუმცა, პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციური როლიდან გამომდინარე, აღნიშნული ჩარევა მაშინაც კი, როდესაც სხვა ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურება, კონფლიქტში არ უნდა იყოს პარტიების მოწყობისა და საქმიანობის კონსტიტუციურ პრინციპებთან, მათ შორის-შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპთან. საკანონმდებლო ორგანოს მიერ პარტიებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ პარტიების ფუნქციონირების დემოკრატიული ჩარჩოების უზრუნველყოფას ემსახურება.

იმ პირობებში, როდესაც დახურული პარტიული სიების სისტემა ისედაც არ ახალისებს შიდაპარტიულ დემოკრატიას და კანდიდატების კონკურენტულ შერჩევას, კვოტების ვალდებულების შესრულება პარტიებისთვის დამატებით ქმნის ამ პროცესის კიდევ უფრო მეტი ცენტრალიზაციის, ბიუროკრატიზაციისა და დახურვის წამახალისებელ და გასამართლებელ პირობებს. საქართველოს ფონდალური პარტიების სამუდამო ელიტებისთვის კვოტების ვალდებულების შესრულების აუცილებლობა დამატებითი და საკმაოდ მყარი არგუმენტი იქნება იმისთვის, რომ განუსაზღვრელი ვადით გადადონ ნამდვილი შიდაპარტიული დემოკრატიისა და თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფით მექანიზმებისა და პროცედურების შემოღება.

ამ კოზირი არგუმენტისთვის ისინი მზად იქნებიან ხარკად გადაიხადონ საკუთარი კლიენტების ქსელის შედარებით მეტი ქალით შევსება. ამგვარ პატრიმონისტულ სისტემაში, უფრო მეტი ქალი თუ გახდება ელიტური კლიენტელისტური ქსლების ნაწილი პოლიტიკაში, ეს ამ სისტემას ხარისხობრივად ვერ გარდაქმნის და ვერც თავისუფლად და, მით უფრო, თანასწორად ვერ აქცევს. საკონსტიტუციო სასამართლო გულგრილია ამ რეალობების მიმართ, რაც ასევე არ აძლევს საშუალებას სათანადოდ გაიაზროს დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის, მათ შორის, პარტიული პოლიტიკური პროცესის შედეგებზე სახელმწიფოს

იძულებითი ზემოქმედების განსაკუთრებული საფრთხეები, რაც უნდა თვალსაზრისობრივად ნეიტრალური იყოს ის.

სასამართლოს აღნიშნული პოზიცია, თავის მხრივ, გავლენას ახდენს თანაზომიერების შემოწმების სიმკაცრეზე მოცემულ საქმეში, რაც საბოლოოდ სასამართლოს მიერ გასაჩივრებული სქემის კონსტიტუციურობის დამოწმებით სრულდება.

## დესკვნე

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეში არათანიმდევრულ და წინააღმდეგობრივ საფუძვლებზე დაშენებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს „ქამელეონი სასამართლოს“ ზოგადი სტრატეგიიდანაც გამომდინარებს. ამ გადაწყვეტილებით, პოზიტიური ზომების კონსტიტუციური სტატუსი შორსაა დოქტრინული ჩამოყალიბებისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამყარებისგან.

შესავალში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს ქამელეონობის პრაგმატულ საფუძვლებზე მივუთითებდით, გამიზნულად არ შემოვიფარგლეთ გარე გავლენის აქტორებს შორის მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების შტოების მითითებით. სასამართლოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებაში ე.წ. „სასამართლო მხარდამჭერი ქსელების“ არსებობა, ისევე, როგორც სასამართლო უარს ვერ იტყვის დიდ ოპოზიციურ პოლიტიკური ქსელებთან თანამშრომლობის პერსპექტივასა და მათი კეთილგანწყობის შენარჩუნებაზე.

ამის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმეში მიღებული გადაწყვეტილება. კვოტირების გასაჩივრებული სქემა მმართველი საპარლამენტო უმრავლესობის, დიდი ოპოზიციური ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თითქმის ერთსულოვანი კონსენსუსით იყო მიღებული. განსხვავებული აზრი ამ სასამართლოსთვის ყველაზე გავლენიან ჯგუფებს შორის უმცირესობაში აღმოჩნდა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით უფრო მეტი მეგობარი შეიძინა ვიდრე - მოწინააღმდეგე. სამართლის უზენაესობა კი, რომელიც იქცა იმად, რაც „ჩემი და ჩემი მეგობრებისთვისაა“ მოსაწონი, კიდევ ერთხელ ნაკლებად პრიორიტეტული აღმოჩნდა.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, „ქამელეონი სასამართლოს“ ნამოლვაწარი მაინც ტოვებს იმედისთვის ხელმოსაჭიდს, რომ ოდესმე მის მიერ დანატოვარ დოქტრინულ არეულობაში სათანადო გარემოებების დროს სხვა სასამართლო სიცხადესა და თანმიმდევრულობას შეიტანს.